

GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

2019 წლის ანგარიში



შინაარსი

1. პროექტები	2
2. სტანდარტიზაცია.....	3-8
3. მეტროლოგია.....	9-16
4. საერთაშორისო აქტივობები	17-21
5. ღონისძიებები	21-22





1. პროექტები

2019 წლის მარტის თვეში დასრულდა ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის (CIB) მესამე ეტაპის პირველი ნაწილი ტვინინგ პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა საქართველო-ევროკავშირის შორის DCFTA ვალდებულებების შემდგომი დანერგვისათვის“.

ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიების წარმომადგენლებისთვის განხორციელდა გერმანული რეგიონალური პროექტი "Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus" .

11 დეკემბერს სააგენტოში ჩატარდა სტანდარტების ელექტრონული გაყიდვების ახალი პლატფორმის (URL <https://sst.geostm.gov.ge/>) პრეზენტაცია. აღნიშნული პლატფორმის საშუალებით ყველა დაინტერესებული პირისათვის გამარტივდა სტანდარტების შეძენის პროცესი და შესაძლებელი გახდა სტანდარტების სათანადოდ დაცული ელექტრონული ვერსიის მიწოდება. აღნიშნულ შეხვედრაზე იზიარეს სექტორის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია პლატფორმის ფუნქციონირების, შესაძლებლობებისა და გამოყენების წესის შესახებ.



2. სტანდარტიზაცია

- საერთაშორისო/ევროპული სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით 2019 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამისა და ტექნიკური კომიტეტების გადაწყვეტილების საფუძველზე განისაზღვრა ქართულ ენაზე 2019 წლის განმავლობაში „იდენტური თარგმნის“ მეთოდით მისაღები სტანდარტების სია.
- პერმანენტულად მიმდინარეობს საქართველოს სტანდარტების რეესტრის აქტუალიზაციის (განახლების) პროცესი.
- სტანდარტიზაციის ტექნიკურ კომიტეტებს (ტკ 1) „ელექტროტექნიკა“ წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი ევროპული სტანდარტის ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ სსტ ენ 50575:2014 „ძალური, საკონტროლო და საკომუნიკაციო კაბელები -კაბელები ზოგადი გამოყენებისთვის სამშენებლო სამუშაოებში, რომელთა მიმართ მოქმედებს სახანძრო მოთხოვნები“;
 - ✓ სსტ ენ 50575:2014/A1 „ძალური, საკონტროლო და საკომუნიკაციო კაბელები - კაბელები ზოგადი გამოყენებისთვის სამშენებლო სამუშაოებში, რომელთა მიმართ მოქმედებს სახანძრო მოთხოვნები“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 2) „მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ სსტ ისო/იეკ 17021-1:2015/2019 „შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ატარებენ მენეჯმენტის სისტემის აუდიტსა და სერტიფიცირებას- ნაწილი 1: მოთხოვნები“;
 - ✓ სსტ ისო/იეკ ტს 17021-5:2014/2019 „შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ატარებენ მენეჯმენტის სისტემის აუდიტსა და სერტიფიცირებას- ნაწილი 5: კომპეტენციის მოთხოვნები აქტივების მენეჯმენტის სისტემების აუდიტისა და სერტიფიცირებისათვის“;
 - ✓ სსტ ისო/იეკ ტს 17021-6:2014/2019 „შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ატარებენ მენეჯმენტის სისტემის აუდიტსა და

სერტიფიცირებას- ნაწილი 6: კომპეტენციის მოთხოვნები ბიზნესის უწყვეტობის მენეჯმენტის სისტემების აუდიტისა და სერტიფიცირებისათვის“;

- ✓ სსტ ისო/იეკ ტს17021-7:2014 „შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები ორგანიზაციებისათვის“; რომლებიც ატარებენ მენეჯმენტის სისტემის აუდიტსა და სერტიფიცირებას- ნაწილი 7: კომპეტენციის მოთხოვნები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების (RTS) მენეჯმენტის სისტემების აუდიტისა და სერტიფიცირებისათვის“;
- ✓ სსტ ისო/იეკ ტს 17021-11:2018/2019 „შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ატარებენ მენეჯმენტის სისტემის აუდიტსა და სერტიფიცირებას- ნაწილი 11: კომპეტენციის მოთხოვნები მენეჯმენტის სისტემების წარმოების მენეჯმენტის (FM) აუდიტისა და სერტიფიცირებისათვის“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 3) „სასურსათო პროდუქტები“ წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ სსტ ისო 6579-1:2017/2019 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - Salmonella-ს გამოვლენის, რაოდენობრივი განსაზღვრისა და სეროტიპირების ჰორიზონტალური მეთოდი - ნაწილი 1: Salmonella spp.-ს გამოვლენა“;
 - ✓ სსტ ისო 6579-2:2012/2019 „სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია- Salmonella-ს გამოვლენის, რაოდენობრივი განსაზღვრისა და სეროტიპირების ჰორიზონტალური მეთოდი-ნაწილი 2: რაოდენობის განსაზღვრა უმცირესი უალბათესი რიცხვის მეთოდით“;
 - ✓ სსტ ისო/ტრ 6579-3:2014/2019 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - Salmonella-ს გამოვლენის, რაოდენობრივი განსაზღვრისა და სეროტიპირების ჰორიზონტალური მეთოდი - ნაწილი 3: Salmonella spp.-ს სეროტიპირების სახელმძღვანელო მითითებები“;
 - ✓ სსტ ისო 6887-1:2017/2019 „სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - საკვლევი ნიმუშების, საწყისი სუსპენზიისა და ათჯერადი განზავებების მომზადება მიკრობიოლოგიური გამოკვლევისათვის - ნაწილი 1: საწყისი სუსპენზიისა და ათჯერადი განზავებების მომზადების ზოგადი წესები“;



- ✓ სსტ ისო 6887-6:2013/2019 „სურსათისა და ცხოველთა საკვების მიკრობიოლოგია - საკვლევი ნიმუშების, საწყისი სუსპენზიისა და ათჯერადი განზავებების მომზადება მიკრობიოლოგიური გამოკვლევებისათვის - ნაწილი 6: სპეციალური წესები პირველადი პროდუქციიდან აღებული ნიმუშების მოსამზადებლად“;
- ✓ სსტ 85:2019 „წყლები ნატურალური მინერალური. საერთო ტექნიკური პირობები“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 4) „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები“ წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ სსტ ისო 17679:2016/2019 „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები - გამაჯანსაღებელი სპა - მომსახურების მოთხოვნები“;
 - ✓ სსტ ისო 20611:2018/2019 „სათავგადასავლო ტურიზმი - მდგრადი განვითარების საუკეთესო გამოცდილება - მოთხოვნები და რეკომენდაციები“;
 - ✓ სსტ ისო 21426:2018/2019 „ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები - სამედიცინო სპა - მომსახურების მოთხოვნები“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) "მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები" წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ სსტ ენ 10204:2004/2019 „ლითონის პროდუქტები - შემოწმების დოკუმენტების ტიპები“;
 - ✓ სსტ ენ 10080:2005/2019 „ბეტონის საარმატურო რკინა - შედუღებადი საარმატურო რკინა - ზოგადი მიმოხილვა“;
 - ✓ სსტ ენ 196-7:2007/2019 „ცემენტის გამოცდის მეთოდები - ნაწილი 7: ცემენტის სინჯების აღებისა და მომზადების მეთოდები“;
 - ✓ სსტ ენ 197-1:2011/2019 „ცემენტი - ნაწილი 1: შემადგენლობა, სპეციფიკაციები და შესაბამისობის კრიტერიუმები ჩვეულებრივი ცემენტისათვის“.





- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 6) „ბუნებრივი გაზი“ წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ სსტ ენ 16348:2013/2019 „გაზის ინფრასტრუქტურა - უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემები (SMS) გაზგამანაწილებელი ქსელის ინფრასტრუქტურისათვის და მილსადენის ინტეგრირებული მენეჯმენტის სისტემა (PIMS) გაზგამანაწილებელი ქსელის მილსადენისათვის. ფუნქციური მოთხოვნები“;
 - ✓ სსტ ენ 12007-1:2012/2019 „გაზის ინფრასტრუქტურა - მილსადენები მაქსიმალური მუშა წნევით 16 ბარამდე ჩათვლით. ნაწილი 1: ზოგადი ფუნქციური მოთხოვნები“.
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 7) „ენერგოეფექტურობა“ წევრების გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდა შემდეგი საერთაშორისო სტანდარტის ქართულენოვანი ვერსიები:
 - ✓ სსტ ისო 50001:2018 “ენერჯის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები სახელმძღვანელოსთან ერთად გამოყენებისათვის”.
- 2019 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ საქართველოში მოქმედ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 327 ნოტიფიკაცია.






2019 წლის 12 თვის განმავლობაში დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 2034 სტანდარტი:

- ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი)-47;
- ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი)- 1685;
- ✓ სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) – 279;
- ✓ სსტ ისო (საქართველოს სტანდარტი, ქართულენოვანი ვერსია)- 14;
- ✓ სსტ ენ (საქართველოს სტანდარტი, ქართულენოვანი ვერსია) -8
- ✓ საქართველოს სტანდარტი (ეროვნული) -1.

დიაგრამა 1.

სულ 2034






2019 წელს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ გაცემულია 381 სტანდარტი, მათ შორის (იხ. დიაგრამა 2):

- ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) -106;
- ✓ გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) -11;
- ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 101;
- ✓ სსტ იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) - 7;
- ✓ სსტ (ეროვნული) -1.
- ✓ სსტ ისო (ქართულენოვანი)-123;
- ✓ სსტ ენ (ქართულენოვანი)-7;
- ✓ ასტმ (ტესტირებისა და მასალების ამერიკის საზოგადოების სტანდარტი)-17.

დიაგრამა 2.

სულ 381



3. მეტროლოგია

- მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყოველწლიური ანალიზი/მიმოხილვა მენეჯმენტის მხრიდან;
- მიმდინარეობს სამუშაოები საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალ ვერსიაში არსებული მოთხოვნების შესაბამისად მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ცვლილებების შეტანისათვის, რაც შემდგომ ეტაპზე წარდგენილი და დადასტურებული უნდა იქნეს საერთაშორისო დონეზე. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ მომზადდა სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალ ვერსიაზე გადასვლის გეგმა, რომელიც გაიგზავნა მეტროლოგიის რეგიონალურ ორგანიზაციაში COOMET-ის ხარისხის ტექნიკურ კომიტეტში, რაც ერთ-ერთი სავალდებულო პირობაა საერთაშორისო აღიარების შენარჩუნებისათვის.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ განყოფილებებში მიმდინარეობს ეტალონების მზადყოფნასთან და შენახვასთან დაკავშირებული მუდმივი მეტროლოგიური სამუშაოები, მათ შორის ეტალონებისა და სხვა გაზომვის საშუალებების დაკალიბრება, მათი შუალედური შემოწმებები, საერთაშორისო და ორმხრივი შედარებებში მონაწილეობა.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების აღჭურვილობის ბაზის გაუმჯობესების მიზნით 12 თვის მდგომარეობით შექმნილ იქნა შემდეგი ხელსაწყოები: რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილებისათვის მაღალი სიზუსტის და ფართო დიაპაზონის მქონე ხელსაწყოები - გენერატორი, პრეციზიული ციფრული მულტიმეტრი, სიხშირემომი; ტემპერატურისა და ტენიანობის განყოფილებისათვის - მაღალი სიზუსტის ციფრული ტემპერატურული კალიბრატორი (თერმოსტატი); წნევის ლაბორატორიისათვის - ციფრული მანომეტრი, ფიზ-ქიმიური ეტალონური განყოფილებისათვის სტანდარტული ნიმუშები საერთაშორისო შედარებაში მონაწილეობისას ხარისხის უზრუნველსაყოფად.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების ეტალონებისა და გაზომვის საშუალებების მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია, აღნიშნული ხელსაწყოები გაიგზავნა დასაკალიბრებლად შემდეგი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტებში: PTB გერმანიის





მეტროლოგიის ინსტიტუტი, (უკრმეტრტესტსტანდარტი (კიევი) და ხარკოვის მეტროლოგიის ინსტიტუტი (უკრაინა), CMI ჩეხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტი, ბელორუსიის მეტროლოგიის ინსტიტუტი (BelGIM).

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ლიცენზიების პირობების შესაბამისად წარედგინა გეგმიური ანგარიშები (19.04.2019 და 27.11.2019).
- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების მიერ მომსახურება გაეწია დამკვეთებს აზერბაიჯანიდან - 2019 წლის განმავლობაში დაკალიბრდა 37 ხელსაწყო.
- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობები 2 ერთეული CMC ჩანაწერი დოზიმეტრიის სფეროში ივლისის თვეში გამოქვეყნდა BIPM ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს მონაცემთა ბაზაში, რაც აღნიშნული სერვისების საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს.
- რადიაციული მეტროლოგიის ეტალონურმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს IAEA რეგულარულ OSLD საფოსტო ხარისხის აუდიტის შემოწმებაში. მიღებულია დადებითი შედეგები (21.11.2019).
- მიმდინარეობს სამუშაოები CMC) ჩანაწერების აღიარების პროცედურები შემდეგ მიმართულებებში: წნევა, მცირე მოცულობა, სიგრძე, ტენიანობა, ტემპერატურა, ელექტრობა. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების მიერ მომზადდა CMC-ის ჩანაწერების პაკეტი ტემპერატურისა და ტენიანობის სფეროში და გაიგზავნა COOMET-ის შესაბამის ტექნიკურ კომიტეტში განსახილველად.
- სააგენტოს ეტალონური განყოფილების წარმომადგენლები ჩართულები არიან საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების გაზომვისა და დაკალიბრების შესაძლებლობების CMC ჩანაწერების საერთაშორისო ექსპერტიზის პროცესში.
- ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილებაში მიღებულ იქნა ახალი თანამშრომელი, რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის მიერ ჩატარებული თანასწორ ექსპერტთა შეფასების რეკომენდაციის შესაბამისად. აღნიშნულ თანამშრომელს ჩაუტარდა თეორიული და პრაქტიკული სწავლება-ტრენინგები ტემპერატურისა და ტენიანობის გაზომვების სფეროში, ხარისხის



მენეჯმენტის სისტემების საკითხებზე, ასევე დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობების CMC ჩანაწერების მომზადების შესახებ.

- მიმდინარეოს ტენიანობის სფეროში საგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტსა და გაერთიანებული სამეფოს ნაციონალურ ფიზიკურ ლაბორატორიას NPL შორის ჩატარებული ორმხრივი შედარების საბოლოო ანგარიშის მომზადების სამუშაოები. ანგარიში განხილვის ეტაპზეა ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს საკონსულტაციო კომიტეტში.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ შემუშვდა დაკალიბრების შემდეგი პროცედურები: 01LP-5.4-23 „ოპტიკური ნიველირების დაკალიბრების პროცედურა“, 01LP-5.4-24 „ინდიკატორული შიგსაზომების დაკალიბრების პროცედურა“, 01LP-5.4-25 „125 მმ-დან 500 მმ-დე ნომინალური სიგრძის კიდურა საზომების დაკალიბრების პროცედურა“.
- 2019 წლის 02-06 სექტემბერს გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების უფროსმა სსიპ „დელტა“-ს მოწვევით ექსპერტის სტატუსით მონაწილეობა მიიღო ნავიგაციის ინერტული სისტემის (შვეიცარია) ლაბორატორიულ გამოცდებსა და კვლევებში.
- დასრულდა გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილებასა და უკრაინის მეტროლოგიის ინსტიტუტს NNC “Metrology Institute” (უკრაინა, ქ. ხარკოვი) შორის ჩატარებული დამატებითი შედარების ანგარიში (COOMET-ის თემა № 765-UA/18) „სიგრძის კიდურა საზომების ეტალონების ორმხრივი შედარება სიგრძეთა დიაპაზონში 0,5 მმ-დან 100 მმ-მდე“. საბოლოო ანგარიში განხილული იქნა ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს შესაბამის საკონსულტაციო კომიტეტში და გამოქვეყნდა ჟურნალში „Metrologia“, Volume 56, Number 1A, BIPM, 2019 წლის აგვისტოში.
- გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილება ასევე მინაწილეობს მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის დამატებითი შედარებებში 742-UA/18: „სიგრძის კიდურა საზომების ეტალონების შედარება სიგრძეთა დიაპაზონში 0,5 მმ-დან 100 მმ-მდე“ - (პილოტი: NNC “Metrology Institute” - უკრაინა, მონაწილეები: GEOSTM - საქართველო; VMC - ლიტუვა; CSM - ყირგიზეთი; BELGIM, ბელარუსი; INIMET - კუბა. აღნიშნული შედარების ფარგლებში გაზომვების ჩატარება GEOSTM-ის მიერ დაგეგმილი 2020 წელს, როდესაც ეტალონები გამოგზავნილი იქნება საქართველოში.



- დასრულდა გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილების დაკალიბრებისა და გაზომვის შესაძლებლობის CMC-ჩანაწერის ექსპერტიზა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ფარგლებში, ასევე დასრულდა აღნიშნული CMC-ჩანაწერის განხილვა სხვა რეგიონალური ორგანიზაციების მხრიდან, მიმდინარეობს საბოლოო გამოქვეყნების პროცესი ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს BIPM მონაცემთა ბაზაში KCDB.
- გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილების მიერ მომზადდა მასალები, სახელმწიფო (ეროვნული) ეტალონების კომისიის სხდომაზე ჩატარდა პრეზენტაცია და სახელმწიფო ეროვნული ეტალონების რეეტრში შეტანილ იქნა "სიგრძის A-ტიპის კიდურა საზომების ეტალონური ნაკრები გაზომვათა დიაპაზონში (0,5 ÷ 100) მმ"
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური განყოფილება მონაწილეობს და ასრულებს პილოტი, წამყვანი ინსტიტუტის ფუნქციას რეგიონალური მეტროლოგიის ორგანიზაციის COOMET-ის შედარებაში #624/GE/-a13 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S19) „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებები“. სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ელექტრობის ეტალონური განყოფილება ასრულებს წამყვანის (პილოტის) როლს. მონაწილეობს 11 ქვეყნის ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტი: GEOSTM (Georgia); VNIIM (Russia); BELGIM (Belarus); AZSTAND (Azerbaijan); IMBIH (Bosnia and Herzegovina); INIMET (Cuba); KazInMetr (Kazakhstan); VMT/FTMC (Lithuania); INM (Republic Moldova); MASM (Mongolia); NSC “Institute of Metrology” (Kharkiv, Ukraine). გაზომვები დამთავრებულია, მიმდინარეობს სააგენტოს მიერ, როგორც პილოტი ორგანიზაციის მიერ ანგარიშის პირველი პროექტის (დრაფტი A) მომზადება. საერთაშორისო შედარებების პრაქტიკის თანახმად ორივე ეტალონური წინაღობის ზომა 100 ომი და 100 კომი გადაეცა სააგენტოს საჩუქრად როგორც პილოტ ორგანიზაციას.
- ელექტრობის ეტალონური განყოფილება ასევე მონაწილეობს COOMET-ის პროექტში #695/UA/-a16 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM- K5) ელექტრული სიმძლავრის ერთეულის ეროვნული ეტალონების საკვანძო შედარებებში (პილოტი UMTS (უკრაინა, კიევი), მონაწილეები – VNIIM (რუსეთი), NIM (ჩინეთი), UME (თურქეთი), BELGIM (ბელარუსი), SMU (სლოვაკეთი), CMI (ჩეხეთი), Kazinmetr (ყაზახეთი), GEOSTM (საქართველო),





VMC (ლიტვა)). შედარების ანგარიში (დრაფტი B) გადაგზავნილია BIPM-ის შესაბამის საკონსულტაციო კომიტეტში CCEM-ში განსახილველად.

- ელექტრობის ეტალონური განყოფილება ასევე მონაწილეობს COOMET-ის პროექტში #681/RU/16 (BIPM-ის მონაცემთა ბაზაში: COOMET.EM-S22) დენის ტრანსფორმატორების დამატებითი შედარებები. (პილოტი - FGUP „UNIIM“ (რუსეთი, ეკატერინბურგი), მონაწილეები: CMI (ჩეხეთი), UMTS (უკრაინა, კიევი), BelGIM (ბელორუსი), GEOSTM (საქართველო), UME (თურქეთი), Kazinmetr (ყაზახეთი), MASM (მონღოლეთი). გაზომვები დამთავრებულია და შესაბამისი ანგარიში გადაგზავნილია პილოტ ლაბორატორიასთან.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილების მიერ ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა ხმაურმზომების დაკალიბრების პროცედურის ახალი ვერსია.
- რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკი ეტალონური განყოფილებაში მიმდინარე წლის ივლისი-სექტემბრის ჩათვლით პრაქტიკები გაიარეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და აგრარული უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტებმა.
- მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები დანიის მეტროლოგიის ინსტიტუტთან (DFM) სასწავლო შედარების ჩატარების მიზნით (ოპტიკური სიმძლავრის და ენერჯის მზომების დაკალიბრება);
- რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკი ეტალონური განყოფილების თანამშრომლების მიერ დამუშავდა და გაიმართა ლუქსემბურგის საკალიბრებელი ხაზი. ხსენებული მოწყობილობის გამართვით შესაძლებელი გახდა დამკვეთებისათვის აღნიშნული მიმართულებით მომსახურების შეთავაზება.
- სააგენტოს ფიზიკო-ქიმიური გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები სტანდარტული ნიმუშების დამზადების მიმართულების განვითარების მიზნით. აღნიშნულ სფეროში მომსახურების გაწევისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტის ISO 17034:2016 დანერგვა. ამ მიზნით 15-18 ოქტომბერს გერმანული რეგიონალური პროექტის ფარგლებში სააგენტოში იმყოფებოდა ექსპერტი, რომელმაც განყოფილებისა და მეტროლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან





ერთად განიხილა სტანდარტული ნიმუშების წარმოებისა და სერტიფიცირების საკითხები. განყოფილების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელზეც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფიზიკურ-ქიმიური განყოფილების შესაძლებლობებსა და პრესპექტივებს pH-მეტრის სფეროში სტანდარტული ნიმუშების წარმოებისათვის.

- 2019 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებული და დამტკიცებულია 26 ერთეული გაზომვის საშუალების ტიპი:
 - ✓ Альфа AS3500 ელექტრული ენერჯის სამფაზა მრიცხველების, შპს „Эльстер Метроника“ (რუსეთის ფედერაცია).
 - ✓ КАСКАД-12-MT ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრავალფუნქციური მრიცხველების, ss “КАСКАД” (რუსეთის ფედერაცია).
 - ✓ KK ცივი და ცხელი წყლის მრიცხველების, firma “Baylan” (TurqeTi).
 - ✓ EKS 3-20 მოდელების წყლის მრიცხველების, firma “MANAS Enerji Yonetimi SAN ve Tic A.S.” (TurqeTi).
 - ✓ UST-XX წყლის ულტრაბგერითი მრიცხველების, firma “Atlas Sayag Ve Olgu Aletleri Yazilim Otomasyon San. Tic. A. S.” (TurqeTi).
 - ✓ BM.10 აქტიური ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრიცხველების, firma “BAYLAN” (TurqeTi).
 - ✓ BM.21 აქტიური ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრიცხველების, firma “BAYLAN” (TurqeTi).
 - ✓ BM.31 აქტიური ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრიცხველების, firma “BAYLAN” (TurqeTi).
 - ✓ 8700 ელექტრომაგნიტური ხარჯზომების, firma “Emerson SRL” (რუმინეთი).
 - ✓ AS (60/220; 110; 160; 220; 310) R2 ლაბორატორიული სასწორები, firma “RADWAG WAGI ELEQTRONICZNE” (პოლონეთი).
 - ✓ КАСКАД - 330 ელექტრული ენერჯის სამფაზა ერთტარიფიანი მრიცხველების, ss “КАСКАД” (ruseTis federacia).
 - ✓ AS220 აქტიური ელექტრული ენერჯის სტატიკური მრიცხველების, ფირმა “Elster Rometrics S.R.L.” (რუმინეთი).
 - ✓ VEM-M580DB0T აქტიური ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრიცხველების, ფირმა “Elster GmbH” (გერმანია).
 - ✓ AS3000 აქტიური ელექტრული ენერჯის სტატიკური მრიცხველების, ფირმა “Elster Rometrics S.R.L.” (რუმინეთი).
 - ✓ Q . Sonic ^{plus} ულტრაბგერითი აირის მრიცხველების, ფირმა “Elster Instromet GmbH” (გერმანია).
 - ✓ NIK 2307 0,5s...T... ელექტრული ენერჯის მრიცხველების, შპს “НІК-ЕЛЕКТРОНІКА” (უკრაინა).
 - ✓ VEM-M580DB0T აქტიური ელექტრული ენერჯის ერთფაზა მრიცხველების, ფირმა „Panasonic Life Solutions Elektrik Sanayi Ticaret Anonim Sirketi“ (თურქეთი).





- ✓ VEM-T5100DB0T, VEM-T5100DB2T აქტიური ელექტრული ენერჯის სამფაზა მრიცხველების, ფირმა „Panasonic Life Solutions Elektrik Sanayi Ticaret Anonim Sirketi“ (თურქეთი).
- ✓ СГД 4 აირის დიაფრაგმული მრიცხველების, ღს „ММЗ имени С.И. Вавилова - ჰოლდინგ „БелОМО“-ს მმართველი კომპანია (ბელარუსის რესპუბლიკა).
- ✓ BDU სტატიკური აწონის ელექტრონული სასწორების, შპს „სასწორი აკსის უკრაინა“ (უკრაინა).
- ✓ Tint Meters (მოდელი INSPECTOR II-2000) მინების დამუქების მზომების, ფირმა „Laser Labs, Inc“ (აშშ).
- ✓ A1800 ელექტრული ენერჯის ტრანსფორმატორული ჩართვის სამფაზა მრიცხველების, ფირმა “Elster Rometrics SRL” (რუმინეთი).
- ✓ BT.30 ელექტრული ენერჯის სამფაზა მრიცხველების, firma “BAYLAN” (TurqеTi).
- ✓ BTK.30 ელექტრული ენერჯის სამფაზა მრიცხველების, firma “BAYLAN” (TurqеTi).
- ✓ BTK.40 ელექტრული ენერჯის სამფაზა მრიცხველების, firma “BAYLAN” (TurqеTi).
- ✓ ხმაურმზომი (ბგერის დონის მზომი) B&K 2245 ES (ს/ნ 100364), firma “Bruel & Kjaer” (დანია).






2019 წლის 12 თვის მდგომარეობით განხორციელდა 162 953 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება, მათ შორის (იხ. დიაგრამა 3):

- ელექტრომრიცხველები - 3 688 ცალი;
- გაზის მრიცხველები - 150503 ცალი;
- წყლის მრიცხველები - 68830 ცალი;

დიაგრამა 3.

სულ 220846



4. საერთაშორისო აქტივობები

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლები თებერვლის თვეში სასწავლო ვიზიტის ფარგლებში მივლინებით იმყოფებოდნენ ქ. რიგაში ლატვიის სტანდარტებისა და მეტროლოგიის, ეკონომიკისა და სამინისტროსა და ზედამხედველობის სფეროში მოქმედ შესაბამისს ორგანოებში.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი 29.01.2019-07.05.2019 პერიოდში გაიარა ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე. აღნიშნული ტრენინგის დასრულების შემდგომ შესაბამისი ტრენინგი ჩაატარა სააგენტოს თანამშრომლებისათვის 2019 წლის 27 მაისს.
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ESCAP/ISO/UNCTAD მიერ ორგანიზებულ რეგიონალურ ტრენინგებში „Non-Tariff Measures (NTM)“ არასატარიფო ბარიერების თაობაზე რომლებიც გაიმართა მიმდინარე წლის 12-15 მარტს ტაილანდი, ქ. ბანკოკში და 10-11 ივნისს სომხეთი ქ. ერევანი.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ზომისა და წონის საერთაშორისო ბიუროს და მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციების გაერთიანებული კომიტეტის შეხვედრაში როგორც რეგიონალური ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა ხარისხის სისტემების დარგში. აღნიშნული შეხვედრა გაიმართა 13-14 მარტს საფრანგეთში ქ. პარიზი.
- სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის კომიტეტის სხდომაში (გენერალურ ასამბლეაში) და სემინარში, რომელიც გაიმართა ა.წ. 2-4 აპრილს გერმანიაში ქ. დრეზდენი.
- სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN-CENELEC, ETSI) გენერალურ ასამბლეაში, რომელიც ჩატარდა 2019 წლის 5-6 ივნისს, ქ. ბუქარესტში.
- ტემპერატურული გაზომვების ეტალონური განყოფილების წარმომადგენლები ა.წ. 15-18 მაისს და 17-21 ივნისს იმყოფებოდნენ რუსეთის ფიზიკო-ტექნიკური და რადიოტექნიკური გაზომვების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში VNIIFTRI რუსეთი, ქ. მოსკოვში, მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ფარგლებში



მიმდინარე ტემპერატურის ერთეულის ეტალონების ვერცხლისწყლის სამმაგ წერტილში საკვანძო შედარებების (704/RU/16) ტექნიკური პროტოკოლით გათვალისწინებული გაზომვების ჩასატარებლად.

- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 7) თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) ტექნიკური კომიტეტის (ISO TC 301) სამუშაო შეხვედრასა და საერთაშორისო კონფერენციაში "ISO 50001 Energy Management Systems (EnMS)", რომელიც გაიმართა 16-21 ივნისს, ქ.ვენაში.
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სემინარში „ISO Marketing and Communication“, რომელიც გაიმართა 18-20 ივნისს, ქ.ტაშკენტში.
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სემინარში „IT Services for User Administrators (MBUAs)“, რომელიც გაიმართა 16-18 ივლისს, ქ. ქინგდაოში, ჩინეთი.
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 3) თავმჯდომარესთან ერთად მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სემინარში „Managing effective national mirror committees“ რომელიც გაიმართა 6-8 აგვისტოს, ქ. ქინგდაოში, ჩინეთი.
- 16.09-21.09.2019 სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET ტექნიკური კომიტეტის 1.9 „მაიონებელი გამოსხივება და რადიოაქტიურობა“ სხდომაში, რომელიც გაიმართა მოლდოვაში ქ. კიშინოვი.
- სააგენტოს ელექტროგაზმვების ეტალონური განყოფილების თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო კომიტეტის ტექნიკური კომიტეტის TC 1.3 „ელექტრობა და მაგნეტიზმი“ სხდომაში, რომელიც ჩატარდა 2018 წლის 21 - 25 ოქტომბერს ქ. კიშინოვში, (მოლდოვა), სადაც წარადგინა პრეზენტაცია CMC ჩანაწერების წარდგენისა და ექსპერტიზის შესახებ საქართველოს პრაქტიკული გამოცდილების შესახებ.
- 01.10.19 – 02.10.19 მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების, ასევე წნევის განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონალური





მეტროლოგიური ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის ტკ 1.6 „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეები“ სხდომაში, რომელიც გაიმართა სანკტ-პეტერბურგში (რუსეთი).

- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სემინარში „Non-tariff measures in Azerbaijan and North and Central Asia“, რომელიც გაიმართა 9-11 დეკემბერს, ქ. ბაქოში, აზერბაიჯანი.
- სააგენტოს თანამშრომლებისთვის „TWINNING“ პროექტის ფარგლებში მარტის თვეში დასრულდა ინგლისური ენის სემინარები და გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.
- „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) მხარდაჭერა საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემებში“ - სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარდა სწავლებები საინფორმაციო მენეჯმენტის სისტემის დანერგვისთვის მისი შემდგომი განხორციელების მიზნით.
- 2019 წელს Twinning პროექტის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონურ ლაბორატორიის წარმომადგენლებისათვის ევროპელი ექსპერტების მიერ ჩატარდა სემინარები/ტრენინგები და სასწავლო ვიზიტები შემდეგი მიმართულებებით:
 - ✓ 2019 წლის 24 იანვარს მეტროლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ლიტველი ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგი-სემინარი „სტანდარტის ისო/იეკ 17025 ახალი მოთხოვნების განხილვა-გადაწყვეტილების მიღება, განაცხადი შესაბამისობაზე“.
 - ✓ 2019 წლის 28.01- 01.02 აკუსტიკური გაზომვების ლაბორატორიაში იმყოფებოდა ექსპერტი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტიდან (INRIM). ლაბორატორიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ პრაქტიკული და თეორიული სწავლება ISO 61672-3 მიხედვით ხმაურმზომების დაკალიბრებასთან დაკავშირებით. განხილულ იქნა ლაბორატორიის შესაძლებლობები საერთაშორისო შედარებებში მონაწილეობის მისაღებად.
 - ✓ 2019 წლის 04.02 – 08.02 Twinning პროექტის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ფიზ-ქიმიური ეტალონური გაყოფილების თანამშრომლებისათვის დანიელი ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგი ISO 17034:16 „სტანდარტული ნიმუშების მწარმოებლის კომპეტენტურობის ზოგადი მოთხოვნები“ -ის შესახებ.
 - ✓ რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილების თანამშრომლები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ 04 – 07 თებერვალს INRIM-ში



(იტალია) და 11 – 15 თებერვალს DFM (დანია). მონაწილეობა მიიღეს სწავლებაში მიკროფონების დაკალიბრება „ჩანაცვლების მეთოდით“, აკუსტიკური კალიბრატორების დაკალიბრება და ოპტიკური სიმძლავრისა და ენერჯის მზომების დაკალიბრება. ამავე ლაბორატორიის თანამშრომლებისათვის დანიელი ექსპერტების მიერ თებერვლის თვეში ჩატარდა სწავლება ლუქსემბურგის დაკალიბრებასთან დაკავშირებით.

- მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების წარმომადგენლებისთვის გერმანული რეგიონალური პროექტის "Strengthening the Quality Infrastructure in the Countries of the Southern Caucasus" პროექტის ფარგლებში:

- ✓ 2019 წლის 11 - 15 მარტს ჩატარდა ტრენინგი-სემინარი „სტანდარტის ISO 17043 მოთხოვნების მიმოხილვა.
- ✓ ამავე პროექტის ფარგლებში 25 - 29 მარტს ჩატარდა PTB-ს ექსპერტების ვიზიტი ელექტრობის ეტალონურ განყოფილებაში ავტომატური გაზომვებისა და საინფორმაციო სისტემის აღდგენისა და გამართვის მიზნით. სერვერისა და მუშა კომპიუტერების სისტემა შეკეთდა და გაიმართა; FLUKE-ს ფირმის გაზომვების სისტემასთან ერთად საინფორმაციო-ავტომატურ სისტემაში ჩაირთო ახალი Guildline-ს ფირმის გაზომვის საშუალებები; აღდგა ტემპერატურისა და ტენიანობის ALMEMO-ს ფირმის დარეგისტრირების სისტემა.
- ✓ გერმანული რეგიონალური პროექტის ფარგლებში ა.წ. 18-20 ივნისს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17025:2017 ახალი ვერსიის მოთხოვნების შესაბამისად ხარისხის მენეჯმენტის სისტემების თაობაზე. ტრენინგზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სტანდარტის ახალი ვერსიის ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა: „მიუკერძოებლობა“, „გადაწყვეტილების მიღების წესი“, „განაცხადი შესაბამისობის თაობაზე“, „რისკებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული ქმედებები“.
- ✓ ამავე პროექტის ფარგლებში 09.07.18 – 12.07.18 მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში დგუშიანი გაზომვის საშუალებების დაკალიბრებაზე. ტრენინგზე დასრულდა მცირე მოცულობაში ორმხრივი შედარების (GEOSTM-IPQ) ფინალური ანგარიში (Final Report). აღნიშნული შედარების შედეგების საფუძველზე გაკეთდა განაცხადი CMC ცხრილებისათვის დიაპაზონში 0,5 მკლ ÷ 200 მლ. ასევე დაკალიბრდა მცირე მოცულობის დამატებითი შედარების 4 ერთეული პიპეტი.
- ✓ 22.07.19 – 26.07.19 მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ს მიერ ორგანიზებულ COOMET-ის TC



1.6 ტექნიკური კომიტეტის „მცირე მოცულობის“ მუშა ჯგუფის ტრენინგში გერმანიის საკალიბრო ლაბორატორიაში (ZMK). გაიწერა დამატებითი შედარების ტექნიკური ოქმი და დაიგეგმა კიდევ ერთი პილოტური შედარება მცირე მოცულობაში.

- ✓ 29.07.19 – 02.08.19 მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგი გერმანიის საკალიბრო ლაბორატორიაში (ZMK) თემაზე „მოცულობა და მასა“.
- ✓ 28-30 ოქტომბერს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებებისათვის, ასევე აზერბაიჯანის და სომხეთის მეტროლოგიის ინსტიტუტების და შესაბამისი ორგანიზებისა წარმომადგენლებისათვის PTB-ს ექსპერტის მიერ ჩატარდა პრაქტიკული ტრენინგი თემაზე „სტატისტიკური ინსტრუმენტები შედეგების ანალიზის და ინტერპრეტაციისთვის მეტროლოგიაში“.
- ✓ 2019 წლის 13 დეკემბერს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებებისათვის ჩატარდა სემინარი თემაზე „GEOSTM-ის ლაბორატორიების მხარდაჭერა ხარისხის კონტროლის მეთოდების შემუშავებაში“.
- ✓ 02.12.19 – 06.12.19 მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილებაში განყოფილებაში გერმანიის საკალიბრო ლაბორატორიის წარმომადგენლის მონაწილეობით დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა მასის ლაბორატორიის ახალი კომპარატორი. ასევე ჩატარდა ტრენინგი და დაკალიბრდა 1 ლ მინის ჭურჭელი ლაბორატორიათშორისი შედარებისათვის.

5. ღონისძიებები

- სააგენტომ TWINNING პროექტის ფარგლებში 21 თებერვალს გორის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ცნობადობის ამაღლების სემინარი ადგილობრივი მეწარმეებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. სემინარის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტისა და სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დამსწრეებს გააცნეს DCFTA ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში საქართველოს ვალდებულებები და ბენეფიტები, ასევე სააგენტოს მიღწევები, განვითარებული სერვისები, გამოწვევები. სემინარზე საკუთარი ქვეყნების გამოცდილება დამსწრეებს გაუზიარეს ლიტველმა და ლატვიელმა, დანიელმა ექსპერტებმა.





- მიმდინარე წლის 5 მარტს სააგენტომ ჩაატარა „ღია კარის დღე“, აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენდა უნიკალურ შესაძლებლობას ბიზნესის, აკადემიური და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისათვის ადგილზე გაცნობოდნენ სააგენტოს სერვისებს, მიეღოთ თეორიული და პრაქტიკული ინფორმაცია სააგენტოს ექსპერტებისაგან სხვადასხვა სფეროში.
- 2019 წლის 7 მარტს სასტუმრო ქორთიარდ მერიოტში გაიმართა TWINING პროექტის დახურვის კონფერენცია. კონფერენციაზე მონაწილე მხარეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები.
- 2019 წლის 17-18 სექტემბერს სააგენტოში ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის TC 1.5 “სიგრძე და კუთხე” სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო COOMET-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტების წარმომადგენლებმა: საქართველო, ბელორუსი, გერმანია, თურქეთი, ლიეტუვა, საუდის არაბეთის სამეფო, რუსეთი, უკრაინა და ყაზახეთი.
- გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების უფროსმა ჩაატარა პრეზენტაცია „გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების შესაძლებლობები სამშენებლო სფეროში გამოყენებადი გაზომვის საშუალებათა დაკალიბრებაში“ სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) "მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 2019 წლის 23 ოქტომბერს. აღნიშნული ტექნიკური კომიტეტის წევრები არიან სამშენებლო სფეროში ჩართული კომპანიების, ასევე სამინისტროების, ზედამხედველობის, აკრედიტაციისა, საგამოცდო და საკალიბრო ლაბორატორიების, ასევე საინსპექციო ორგანოების წარმომადგენლები.
- 26-27-28 ნოემბერს თბილისში გაიმართა COOMET-ის საპრეზიდენტო საბჭოს 24-ე და COOMET-ის განვითარების სტრატეგიის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს COOMET-ის საპრეზიდენტო საბჭოს წევრებმა ბელორუსიდან, გერმანიიდან, რუსეთიდან, საქართველოდან და უკრაინიდან.





GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია



ჩარგლოს ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

www.geostm.gov.ge